პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 12 (11318) | ოთხშაბათი, 14 იანვარი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ, 13 იანვარს მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობამ.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ყრილობამ სიტყვა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, ყოვლისმძლე დროშისადმი ერთგული საქართველოს პარტიული ორგანიზაცია დაუცხრომლად იბრძოლებს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გასამარჯვებლად.

საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობამ დაამთავრა მუშაობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის 13 იანვრის დილის სხდომაზე, რომელიც გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **ი. ს. დოლიძის** თავმჯდომარეობით, გრძელდებოდა განხილვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებისა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“.

კამათში ძირითადი ყურადღება ექცეოდა იმ ამოცანების პრაქტიკული განხორციელების საკითხებს, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის წინაშე შვიდწლედში. ორატორთა სიტყვებში დასმული იყო დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომ განვითარებასთან. წარმოების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციასთან, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან, მისი ხარისხის გაუმჯობესებასთან, მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდასთან.

დელეგატთა გამოსვლებში დიდი ადგილი ეკავა სოფლის მეურნეობის საკითხებს. ისინი ლაპარაკობდნენ საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მისწრაფებაზე ღირსეულად განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. მიაღწიონ სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. ი. ქადაგიძე**, თბილისის საელმავლო დეპოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი უფროსი მემანქანე ამხ. **გ. ა. ბოგვერაძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ნ. ი. მუსხელიშვილი**, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი **ა. ა. ბერულავა**.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ მოვიდა მისალმება ყრილობისადმი სომხეთის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისაგან. მისალმების ტექსტს აქვეყნებს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ავლაბრის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ვ. მ. სირაძე**.

ამხ. დოლიძე აცხადებს, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიების ყრილობებმა მუშაობა დაამთავრეს საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის გახსნის წინ და მათ ადრე გაეგზავნათ მისალმებანი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან.

კამათი განახლდა. გამოდიან საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მ. მ. ლელაშვილი**, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გ. ი. ჩოგოვაძე**, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ზ. ი. თავზარაშვილი**.

შესვენების შემდეგ ყრილობის სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ფ. დ. დუმბაძე**. მოხსენების განხილვაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი **კ. ი. ბარიგიანი**, ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **თ. ა. კაპანაძე**, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი **ს. ა. შარაძენიძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ი. ს. დოლიძე**, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ამხ. **ს. ს. ლორთქიფანიძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. **მ. ი. კუჭავა**, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ე. პ. ტაკიძე**, საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ს. ს. მატოიანი**.

წყდება კამათი მოხსენების გამო „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ**.

ყრილობა იწყებს დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის დელეგატების არჩევნები.

დასახელებულ იქნა კანდიდატურები ფარული კენჭისყრისათვის, არჩეულ იქნა დამთვლელი კომისია.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

* * *

13 იანვარს საღამოს გაიმართა ყრილობის საბოლოო სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე**.

მიღებულ იქნა რეზოლუცია. ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ყრილობამ სიტყვა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, ყოვლისმძლე დროშისადმი ერთგული საქართველოს პარტიული ორგანიზაცია დაუცხრომლად იბრძოლებს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გასამარჯვებლად საყოველთაო სახალხო ბრძოლაში ახალი წარმატებების მიღწევისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის დელეგატების ასარჩევად კენჭისყრის შემდეგ სიტყვა ცნობისათვის ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ ეძლევა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. **ხ. კ. ჩხარტიშვილს**. იგი აცხადებს, რომ ყველა დასახელებული კანდიდატი არჩეულია პარტიის XXI ყრილობის დელეგატად.

ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე** ამბობს, რომ საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია და ყრილობას დახურულად აცხადებს.

დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. დარბაზში იწყება მქუხარე ოვაცია, გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის — ბელადისა და ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორის პატივსაცემად, მისი ნაცადი შტაბის—ლენინური ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის პატივსაცემად. (საქდესი).

სკკპ XXI ყრილობის შესახვედრად

ზესტაფონელ მეტალურგებთან

საბჭოთა საქართველოს მეტალურგიის პირმშო — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც პირველ ხუთწლედში შეიქმნა, ჩვენი ქვეყნის ხარისხოვან მეტალურგიას სხვადასხვა ფეროშენადნობებით ამარაგებს.

აჯამებს რა პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, საწარმოს კოლექტივი სიამაყით იგონებს განვლილ გზას — პროდუქციის გამოშვების ზრდისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების გზას. პარტიის XX ყრილობიდან გასული წლების მანძილზე ქარხანა აღიჭურვა მძლავრი აგრეგატებით, ახალი საამქროებით.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ამუშავდა რაფინირებული ფერომანგანუმის საამქრო, რომელიც შეიარაღებულია უახლესი კონსტრუქციის ელექტროსადნობი ღუმელებით. ამ საამქროში ყველა საწარმოო პროცესი მთლიანად მექანიზებულია.

1958 წლის დამდეგს მწყობრში ჩადგა ელექტროლიზური მანგანუმის წარმოების საამქროს პირველი რიგი. ელექტროღუმელების სიმძლავრის უკეთ გამოყენების საფუძველზე მკვეთრად გადიდდა ფეროშენადნობთა წარმოება. მაგალითად, სილიკომანგანუმის გამოდნობაზე მომუშავე ღუმელების წარმადობა 1958 წელს გადიდდა თითქმის 2-ჯერ, ნახშირბადიანი ფერომანგანუმის გამოდნობაზე მომუშავე ღუმელების წარმადობა კი გაიზარდა 3-ჯერ და კიდევ უფრო მეტად.

დიდი ამოცანებია დასახული ზესტაფონის მეტალურგების წინაშე ახალ შვიდწლედში. ფეროშენადნობთა წარმოების მოცულობა შვიდწლედის დასასრულს 1958 წელთან შედარებით უნდა გადიდდეს 120 პროცენტამდე. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დაიწყება მანგანუმის ხაამქროს სრული ექსპლოატაცია.

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითის ვახტზე დგას, გასული წლის საწარმოო პროგრამა ვადაზე ადრე შეასრულა და გეგმის ზევით ასობით ტონა შენადნობი მისცა სამშობლოს.

* * *

სურათზე: ბრიგადირი ვ. ყანჩაველი და მდნობელი ო. გაჩეჩილაძე სილიკომანგანუმის ვამოსადნობ ღუმელთან.

ტექსტი ა. ვიგანასკისა, ფოტო ხ. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას

ბორი. (საკ. კორ.). შპალსაყელენი ქარხნის კოლექტივი ენერგიულად შრომობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის. ახალი წლის განვლილ დღეებში გეგმის გადამეტებით გაყღენთილია ასობით კუბური მეტრი მერქანი, გაზრდილია შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად შემცირებულია კუბური მეტრი გაყღენთილი მერქნის თვითღირებულება.

სასახელოდ შრომობს ოსტატ ს. ჯაფარიძის ცვლა. იგი ყოველდღიურ დავალებებს 120-130 პროცენტით ანაღდებს. მტვირთავთა ბრიგადა, რომელსაც ი. მირონაძე ხელმძღვანელობს, ყოველდღიურ გეგმებს ორმაგად ასრულებს.

უხვი მოსავლის ოსტატები

საჩხერე. (საკ. კორ.). რაიონში თავი გამოიჩინა სოფელ ორღულის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც ივანე ჭიღლაძე უძღვება. აქაურმა კოლმეურნეებმა რაიონში ყველაზე მაღალი მოსავალი მიიღეს. აქ 72 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 15 ცენტნერის ნაცვლად მიიღეს 34 ცენტნერი სიმინდი. საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 80 ცენტნერი ყურძენი. გაიზარდა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი და შრომადღის ღირებულება. წინა წელთან შედარებით ფულადი შემოსავალი 300 ათასი მანეთით გაიზარდა, ხოლო ერთ შრომადღეზე 9 კილოგრამამდე მარცვლეული და 17 მანეთი გაიცა.

სოფელ ჩიხის კოლმეურნეობა „პირველ მაისში“ სიმინდის მაღალი მოსავლის ოსტატის სახელი მოიპოვა ენერგიულმა კოლმეურნემ მარგარიტა მაკასარაშვილმა. მან ნახევარ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 7,5 ცენტნერის ნაცვლად 38,5 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა.

მაღალი მოსავალი მიიღო აგრეთვე სოფელ სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადამ, რომელსაც ვ. ზაბახიძე ხელმძღვანელობს. აქ 13 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანეს 61 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 7,7 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე — 106 ცენტნერი ყურძენი.

უხვი მოსავლის ოსტატები, რომლებიც სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, წელს უფრო მაღალი მოსავლისათვის იბრძვიან.

ამბარის კოლმეურნეობებმა შეასრულეს თამბაქოს დამზადების გეგმა

ამბარის სსრ კოლმეურნეობებმა, ფართოდ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე, 1959 წლის 1 იანვრისათვის შეასრულეს 1958 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 1452 ცენტნერი თამბაქო.

თამბაქოს დამზადება გრძელდება. (საქდესი).

მძლავრი შრომითი აღმავლობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელმა მაღაროელებმა, რომლებიც პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ნიკოპოლელ თანამოძმეებთან, მძლავრი შრომითი აღმავლობით დაიწყეს შვიდწლედის პირველი წლის პირველი დღეები. იანვრის პირველი შვიდი დღის დავალება გადაჭარბებით შესრულა ყველა მაღარომ და, მასასადმე, მარგანეცის ტრესტმაც.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ კალინინის, დიმიტროვის და ვოროშილოვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები.

კვლავ წარმატებით მუშაობს კალინინის სახელობის მაღაროს მეორე უბნის კომუნისტური შრომის ცვლა, რომელსაც სამთო ტექნიკოსი ო. ლორია ხელმძღვანელობს. შრომის ორგანიზაციით ლიდერობენ ტრანსპორტის მექანიზმების კარგად მოვლა-გამოყენებით ცვლის კოლექტივი ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 20-25 ტონა მარგანეცს იძლევა.

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე მამაცურად მუშაობენ ძმები ტრიფონ და ვლადიმერ ფოფხაძეები, ძმები ტრიფონ, პეტრე და აკაკი ჭიღლაძეები, მამა-შვილი კალენიკე და გურამ ღავთაძეები, ი. ქართველიშვილი, ხ. ლომიძე, ა. ჭიღლაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. აბრამიშვილი და მისი ძმა ი. აბრამიშვილი. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებენ.

ჭიათურელი მაღაროელები ახლა ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას.

სკკპ XXI ყრილობის დელეგატები, არჩეულნი საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობაზე

გადამწყვეტი ხმით

ანკვაბი კ. პ.
არველაძე მ. ვ.
ბოგდანოვა პ. გ.
ბოგვერაძე გ. ა.
ბღაჟბა მ. თ.
ბალიცკი კ. ნ.
გეგეშიძე გ. ა.
დავითაშვილი ა. მ.
ენიუტინი გ. ვ.
თავზარაშვილი ზ. ი.
ივაშჩენკო დ. ა.
კიკნაძე შ. დ.
კოგაიძე ა. ა.
კოვანოვი პ. ვ.
კუჭავა მ. ი.
ლელაშვილი მ. მ.
მამულაძე დ. მ.
მჟავანაძე ვ. პ.
მრელაშვილი ა. ი.
ნაბუღეგია ი. მ.
პონომარიოვი ბ. ნ.
როკოსოვსკი კ. კ.
სანაკოევი გ. გ.
ტყეგუჩავა ტ. ე.
ფოფხაძე ტ. ვ.
ქადაგიძე გ. ი.
ქვარცხავა ა. კ.
შევარდნაძე ე. ა.
ჩოგოვაძე გ. ი.
ჩუბინიძე მ. დ.
ქამუშვილი ა. ვ.
ძოწენიძე გ. ს.
წითელაძე ფ. ბ.
ჭელიშვილი პ. ნ.
ჯავახიშვილი გ. დ.

სათათბირო ხმით

მუხაშავრია ს. მ.
შაგანოვი კახრამან მუსა ოღლი

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

12 იანვარს გაიხსნა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის 1959 წლის ლენინური პრემიების კომიტეტის პლენუმი.

პლენუმი გახსნა თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა. პირველი სხდომა მიეძღვნა ლიტერატურისა და ხელოვნების იმ ნაწარმოებთა წინასწარ განხილვას, რომლებიც წარდგენილია 1959 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად. მუშაობა დაიწყეს კომიტეტის სექციებმა.

უახლოეს ხანში კომიტეტის წევრები ნახავენ სპექტაკლებს, კინოფილმებს, მოქანდაკეთა ნამუშევრებს, მოისმენენ მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებიც წარდგენილია განსახილველად.

ამ მიზნით ტრეტიაკოვის გალერიაში გაიხსნება ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის გამოფენა.

იანვრის დამლევს კომიტეტი პრესაში გამოაქვეყნებს იმ ნაშრომთა სიას, რომლებსაც დატოვებს შემდგომ განსახილველად. (საკდესი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნოტა საბჭოთა მთავრობისადმი

7 იანვარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სსრ კავშირის მთავრობას გამოუგზავნა ნოტა, რომელიც არის პასუხი საბჭოთა მთავრობის 1958 წლის 27 ნოემბრის ნოტისა ბერლინის საკითხზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნოტაში აცხადებს, რომ მზად არის ცნოს დემილიტარიზებული თავისუფალი ქალაქის დასავლეთ ბერლინის სტატუსი და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად იკისროს შესაბამისი საგარანტიო ვალდებულებანი.

დემილიტარიზებული თავისუფალი ქალაქის დასავლეთ ბერლინის შექმნით, აღნიშნულია ნოტაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა უზრუნველყოფდა დასავლეთ ბერლინის კავშირს მსოფლიოს ყველა ნაწილთან და მიიღებდა ყველა საჭირო ღონისძიებას იმისათვის, რომ ტვირთზიდვა და მგზავრთა გადაყვანა დასავლეთ ბერლინში და დასავლეთ ბერლინიდან განხორციელებულიყო დაუბრკოლებლად დემილიტარიზებული თავისუფალი ქალაქის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ნოტაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ყველაზე საჭირო და პირველი რიგის ღონისძიებებად, რათა აღმოიფხვრას პროვოკაციის ცენტრი როგორიც არის დასავლეთი ბერლინი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია ის, რომ მოისპოს საოკუპაციო რეჟიმი, რომელსაც კანონის წინააღმდეგ ინარჩუნებს დასავლეთის სამი სახელმწიფო დასავლეთ ბერლინში, და გაყვანილ იქნას უცხოეთის ჯარები დასავლეთ ბერლინიდან, აგრეთვე შეწყდეს „ცივი ომის“ პოლიტიკა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელიც ხორციელდება დასავლეთ ბერლინში დასავლეთ გერმანიის მთავრობისა და დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობათა კარნახით.

ნოტაში შემდეგ აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მიესალმება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას გადასცეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ყველა ფუნქცია, რომლებსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სსრ კავშირის მთავრობის შეთანხმების საფუძველზე დროებით ჯერ კიდევ ახორციელებენ საბჭოთა ორგანოები, და ნათლად აცხადებს, რომ იგი მზად არის მშვიდობიანი ურთიერთგაგების სულისკვეთებით განახორციელოს თავისი უზენაესი უფლებები აგრეთვე დასავლეთ ბერლინში განლაგებული დასავლეთის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების გადაადგილებისა ხმელეთით, წყლითა და ჰაერში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის ყველა იმ საკითხის გამო, რომლებიც უკავშირდება დასავლეთ ბერლინის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას და იმას, რომ თვითონ იკისროს ფუნქციები, რომლებსაც დროებით ახორციელებენ საბჭოთა ორგანოები, აწარმოოს მოლაპარაკება ფედერაციულ რესპუბლიკასთან და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან იმ ფარგლებში, რაც მათ ეხებათ. ისევე როგორც დიდი ბერლინის დემოკრატიული მაგისტრატი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება დასავლეთ ბერლინის სენატთან და დადოს შესაბამისი შეთანხმებანი. (საკდესი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსადმი მოსკოვში

10 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა ნოტა. ნოტა შეიცავს საბჭოთა მთავრობის წინადადებას ექსპერტთა თათბირის მუშაობის განახლების შესახებ იმ მიზნით, რომ შეიმუშაოს რეკომენდაციები მთავრობებისადმი მოულოდნელი თავდასხმის თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ, რომელთა პრაქტიკულად განხორციელება უკვე ამჟამად შესაძლებელია.

მოულოდნელი თავდასხმის საფრთხის თავიდან აცილების პრობლემის გადაუდებლობისა და იმის გამო, ნათქვამია ნოტაში, რომ მისი მნიშვნელობა არა თუ არ მცირდება, არამედ, პირიქით, დღითიდღე ძლიერდება, საბჭოთა მთავრობის აზრით, საჭიროა, რომ თათბირმა უახლოეს დროში განაახლოს თავისი მუშაობა. საბჭოთა მთავრობის წინადადებაა, რომ თათბირმა მუშაობა დაიწყოს 1959 წლის 15 იანვარს.

ანალოგიური ნოტები გეგზავნებათ აგრეთვე დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და კანადის მთავრობებს. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა

კამათი ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო

ამხ. გ. ა. გეგეშიძის სიტყვა

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგო დელეგატებო! თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. თეზისების განხილვამ ახალი ძალით ცხადყო თბილისის მშრომელების, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის მჭიდრო დარაზმულობა სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები გამოთქვამენ განუხრელ მისწრაფებას განახორციელონ მშობლიური კომუნისტური პარტიის დიადი წინასწარდასახულობანი უახლოესი შვიდი წლისათვის.

ბაძავენ რა მოსკოვში, ლენინგრადსა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებში თავიანთი ძმების მაგალითს, მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ბრიგადები ჩაებნენ შეჯიბრებაში კომუნისტური შრომის ბრიგადების სახელწოდების მოპოვებისათვის. ახლა ქალაქში შექმნილია ორასზე მეტი ასეთი ბრიგადა. ისინი ყველანი გაერთიანებული არიან მისწრაფებით — ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXI ყრილობას — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას.

ახორციელებენ რა სკკპ ისტორიული XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ეს გადაწყვეტილებანი კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგია. პარტია დაუცხრომლად ზრუნავს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში მოსახლე ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

ამ ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ქვეყანა უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ემზადება პარტიის XXI ყრილობისათვის, ნება მიბოძეთ შევასრულო ამას წინათ ჩატარებული თბილისის XXVIII საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატების, ქალაქის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის ნება და ამ მაღალი ტრიბუნიდან გულითადი მადლობა ვუძღვნა ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ყოველივე იმისათვის, რასაც ისინი საბჭოთა ადამიანის საკეთილდღეოდ აკეთებენ, ჩვენს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაზე ყოველდღიური ზრუნვისათვის. (ტაში).

ამხანაგებო! ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ჩაებნენ შეჯიბრებაში სკკპ XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და იკისრეს 1958 წლის 15 დეკემბრისათვის დაემთავრებინათ გეგმის შესრულება. ეს ვალდებულება განაღდებულ იქნა ვადამდე, 10 დეკემბრისათვის — თბილისის XXVIII საქალაქო პარტკონფერენციის გახსნის დღისათვის. თავი გამოიჩინეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშენებლებმაც. განვლილ წელს, როგორც უკვე აღინიშნა მოხსენებაში, მათ საექსპლოატაციოდ გადასცეს 111.686 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 ათასისა.

მაგრამ უდიდესი ისტორიული ამოცანების წინაშე ჩვენ უფლება არა გვაქვს დავჯერდეთ მიღწეულს, უფლება არა გვაქვს ვერ ეხიდავდეთ ნაკლოვანებებს, ხარვეზებს, ხოლო ზოგჯერ შეცდომებსაც, რომლებიც ყოველდღიურ მუშაობაში გვაქვს. ქალაქის ყველა საწარმომ როდი უზრუნველყო საწარმოო დავალებათა შესრულება. მთელ რიგ ქარხნებსა და ფაბრიკებში არ წარმოებს ჯეროვანი ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში წუნი 10-12 პროცენტს აღწევს. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის იერიშობანას, მუშახელის დენადობის, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევის, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის გადახარჯვის ფაქტები. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირებაზე, ხელშესახები შედეგები კი ჯერჯერობით არა ჩანს.

მშენებლები საკმაოდ ვერ იბრძვიან შრომის კულტურის ამაღლებისათვის. მათ ბოლო ვერ მოუღეს საშენი მასალების ხელგაშლილად ხარჯვასა და განიავებას. ბევრი რამეა გასაკეთებელი საბინაო მშენებლობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ქალაქის მშრომელთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო მომსახურება. თბილისი ჯერ კიდევ არ გამხდარა სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავის ქალაქი.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, პირობა მივცე ყრილობას, რომ ჩვენ მივიღებთ ყველა საჭირო ღონისძიებას ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრისათვის.

შვიდწლიანი გეგმა უდიდეს პერსპექტივებს სახავს თბილისის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. სამრეწველო წარმოების დონე 1965 წელს, 1958 წელთან შედარებით, დაახლოებით 75-80 პროცენტით გადიდდება. განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით განვითარდება მანქანათსამშენებლო, ხელსაწყოთსამშენებლო, ელექტრომაგალსამშენებლო, ელექტრონტექნიკური, ქიმიური მრეწველობა და მრეწველობის სხვა დარგები.

1965 წელს თბილისის საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა უნდა გამოუშვან თითქმის ერთიორად მეტი პროდუქცია, ვიდრე 1958 წელს. ეს ზრდა განხორციელდება ძირითადად წარმოების ავტომატიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვის, მოძველებული მანქანებისა და ჩარხების უფრო სრულყოფილით შეცვლის გზით.

ვფიქრობ, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და მინისტრთა საბჭომ ხელი უნდა მოჰკიდონ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს და, თავიდან რომ აიცილონ 1959-1965 წლებისათვის დასახული პროგრამის ჩაშლა, მიაღწიონ ახალი მოწყობილობის შესაძენად ფონდებისა და საჭირო სახსრების გამოყოფას.

შვიდწლედის მანძილზე დაფინანსების ყველა წყაროდან საქალაქო მეურნეობაში დაბანდებული იქნება სამ მილიარდ მანეთზე მეტი, ხოლო კაპიტალურ მშენებლობაზე ასიგნებული იქნება სამჯერ და უფრო მეტი. ვიდრე 1952-1958 წლებში. სწრაფი ტემპებით წარმოებს საბინაო მშენებლობა. შემდგომ განვითარებას ჰპოვებს ქალაქის კომუნალური მეურნეობა. გათვალისწინებულია უდიდესი სახსრების დახარჯვა მეცნიერების. კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის განვითარებაზე.

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ საბინაო მშენებლობისათვის, მიწისქვეშა მეურნეობის გაფართოებისათვის, საგზაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები. ჩვენი აზრით, საკმარისი არ არის.

ამხანაგებო! თბილისის კომუნისტებს ღრმად აქვთ შეგნებული. რომ კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო იქნება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მთელი ძალების დაძაბვა, საწარმოო რეზერვების მობილიზაცია, წარმოების მართვაში მშრომელთა აქტივობის გაძლიერება, ორგანიზატორული და პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის დაუცხრომლად სრულყოფა. ქალაქის პარტიული ორგანიზაცია ყველა ღონისძიებას იღებს იმისათვის. რომ თვითეული მშრომელი არა მარტო ჯეროვნად იცნობდეს პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების შინაარსს, არამედ კიდევაც განსაზღვროს თავისი როლი, თავისი ადგილი საერთო-სახალხო ბრძოლაში შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

ნება მიბოძეთ პირობა მივცე საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას, რომ თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მტკიცედ დარაზმული, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელოს დიადი წინასწარდასახულობანი მშობლიური კომუნისტური პარტიისა, რომელსაც გმირი საბჭოთა ხალხი კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ მიჰყავს. (ტაში).

ამხ. ვ. ზ. თოხაძის სიტყვა

საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი

ამხანაგებო! რაიონის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, მხურვალედ მოიწონეს პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები და ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის პარტიის მიერ შემუშავებულ გრანდიოზულ პროგრამას.

ჩვენი რაიონი ძირითადად ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ერთ-ერთი მსხვილი რაიონია რესპუბლიკაში. უკანასკნელ ხანს განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად გაიზარდა ჩაის მოსავლიანობა და გაუმჯობესდა მისი ხარისხი. 1953 წელთან შედარებით 1958 წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 5.182 ტონით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ჩაის სარეკორდო მოსავალი მოიყვანეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა. მაგალითად, მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმა 111,3 პროცენტით შეასრულა, ჰექტარზე საშუალოდ 4.583 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა. უფრო მაღალი მოსავალი მიიღეს სოფელ მახარაძის კოლმეურნეობამ, ნატანების ლენინის სახელობის, შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა, ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველომ“ და სხვ.

ჩაის წარმოების დარგში მოპოვებული წარმატებებისათვის მახარაძის რაიონს მიენიჭა რესპუბლიკაში პირველი ადგილი და გადაეცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ეს დიდი ჯილდო პარტიისა და მთავრობის მხრივ მახარაძელ მეჩაიეთა დაუღალავი, ბეჯითი შრომის ღირსეული შეფასებაა, რომელიც უფრო დიდ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას აკისრებს რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა მშრომელს.

ასევე მაღალი მოსავალი იქნა მიღებული სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურებისაც.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. მარტო გასულ წელს ჩაიდო 21 ათასამდე ტონა მაღალხარისხოვანი სილოსი ანუ 18 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 1.454 კილოგრამი რძე.

ამხანაგებო! სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, რომლებიც დასახულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდეს ამოცანებს უსახავს მახარაძის რაიონის მშრომელებსაც. მიმდინარე შვიდწლეულში სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად სერიოზული ყურადღება მიექცევა ჩაის კულტურის განვითარებას. 7 წლის მანძილზე რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამატებით გაშენდება 1.190 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და 1965 წლისათვის მისი საერთო ფართობი 9.590 ჰექტარს მიაღწევს. 1965 წლისათვის უნდა მოიკრიფოს 33.260.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ამ დავალების უზრუნველსაყოფად საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ უნდა იქნას 4.000-ზე მეტი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ამას წინათ გამართულმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამოცანად დაგვისახა ვიბრძოლოთ საშუალოდ ჰექტარზე 4.200 კილოგრამი ჩაის ფოთლის მიღებისათვის. ამ დავალების შესასრულებლად საჭიროა ყველა რეზერვისა და საშუალების მაქსიმალურად გამოყენება. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაჩქარდეს სოფლის მეურნეობის დარგების სპეციალიზაცია. ეს ხელს შეუწყობს ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურების შემდგომ განვითარებას. ამასთან ერთად უნდა განვითარდეს ჩაის მრეწველობაც. ამჟამად რაიონში 10 ჩაის ფაბრიკაა. შენდება აგრეთვე ჩაის ახალი ფაბრიკები.

ჩაის უხეში ფოთლის დამზადებისა და გადამუშავებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მახარაძეში აიგოს ჩაის უხეში ფოთლის საწნეხი ფაბრიკა, რომელიც მეზობელ რაიონებსაც მოემსახურება. (ტაში).

ამხ. მ. თ. ბღაჟბას სიტყვა

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! აფხაზეთის მშრომელებმა უკანასკნელი წლების მანძილზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. ეს წარმატებები მიღწეულია ლენინური ეროვნული პოლიტიკის სწორი განხორციელების, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური პრაქტიკული დახმარების მეოხებით.

აფხაზეთის სამრეწველო საწარმოებმა, გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად, საერთო პროდუქციის გამოშვების 1958 წლის გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს.

შვიდწლიანი გეგმით აფხაზეთში გათვალისწინებულია ელექტროენერგიის, ქვანახშირის, ბარიტის, ადგილობრივი საშენი მასალების — აგურის, კირის, კრამიტის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. გაიზრდება აგრეთვე ავეჯის, ფეხსაცმლის, საკონდიტრო ნაწარმისა და სხვა პროდუქციის წარმოება.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 1965 წელს მიაღწევს 1.530 მილიონ მანეთს — 1,3-ჯერ მეტს, ვიდრე 1958 წელს.

ნავარაუდევია სოხუმში აშენდეს ხელსაწყოთსამშენებლო ქარხანა, სილიკალციტის ბლოკების დასამზადებელი ქარხანა. აშენდება აგრეთვე ოჩამჩირის ცარცის ქარხანა და ავეჯის ფაბრიკა, სამი ჩაის ფაბრიკა — გალის, ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონებში, შეიქმნება სამი სატყეო-სამრეწველო მეურნეობა. შვიდწლედის განმავლობაში მწყობრში ჩადგება ახალი სკოლები, კინოთეატრები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, საბავშვო ბაღები და ბაგები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

წარმოებს აფხაზეთის გაზიფიკაციის სამუშაოები. გაზი კრასნოდარის მხარიდან მოვა სოჭში, ხოლო შემდეგ გაგრის, გუდაუთისა და სოხუმის რაიონებში და სოხუმში. აფხაზეთის მშრომელები აყენებენ საკითხს გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების, აგრეთვე ტყვარჩელის გაზიფიკაციის შესახებ, რაც შესაძლებელს გახდის გაზზე გადავიყვანოთ ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური. ეს საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ წელიწადში ასეულ ათასობით ტონა ქვანახშირი.

გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები გვიჩვენებენ, რომ აფხაზეთში გადადგმულია ახალი დიდი ნაბიჯი კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდისა და განმტკიცების, საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობის ამაღლების, საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდების, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, რესპუბლიკის ყველა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე. ეს შედეგია იმ გადამწყვეტი ღონისძიებებისა, რომლებიც პარტიამ მიიღო საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და მტს-ების რეორგანიზაციისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სისტემის გაუმჯობესებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდით საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისათვის.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებია მეჩაიეობა და მეთამბაქოობა. 1958 წელს კოლმეურნეობებმა მეჩაიეობითა და მეთამბაქოობით მიიღეს მთელი ფულადი შემოსავლის 85 პროცენტზე მეტი.

განსაკუთრებით კარგად იშრომეს მეჩაიეებმა. პლანტაციების მოვლის გაუმჯობესებით მათ 1958 წელს უხვი მოსავალი მოიყვანეს. აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ ვადაზე დიდი ხნით ადრე — 1958 წლის 5 სექტემბერს შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა.

აფხაზეთი განთქმულია თავისი უძვირფასესი არომატული თამბაქოთი. 1957 წელს კოლმეურნეობებში მიღებულ იქნა თამბაქოს უხვი მოსავალი — 12,7 ცენტნერი ჰექტარზე.

1958 წელს, დაძლიეს რა ამინდის არახელსაყრელი პირობებით გამოწვეული სიძნელეები, აფხაზეთის მეთამბაქოეებმა შეძლეს მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაეტარებინათ თამბაქოს ჩითილის რგვა, უზრუნველეყოთ პლანტაციების მუყაითი მოვლა. ამის შედეგად მიღებულია კარგი მოსავალი. ბევრმა კოლმეურნეობამ ჰექტარზე 15-20 და მეტი ცენტნერი თამბაქო მიიღო. კოლმეურნეობების მიერ მეთამბაქოობით მიღებულმა შემოსავალმა 1957 წელს შეადგინა 196,1 მილიონი მანეთი, ხოლო 1958 წელს ეს შემოსავალი 200 მილიონ მანეთს აღემატება.

მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის გახსნის დღისათვის აფხაზეთის მეთამბაქოეებმა ვადამდე შეასრულეს თამბაქოს დამზადების გეგმა.

ჩაებნენ რა შეჯიბრებაში სკკპ XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, მეთამბაქოეები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული 7.800 ტონა არომატული თამბაქოს ნედლეულის ნაცვლად სამშობლოს მისცენ 9.500 ტონა თამბაქო.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებულია თუთის აბრეშუმის პარკის, ხილის, ყურძნის, მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის დამზადების გეგმები.

აფხაზეთში გაიზარდა მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი. თუ 1953 წელს ასეთი კოლმეურნეობა 26 იყო, 1957 წელს მათი რიცხვი უკვე 139-მდე ავიდა. შორს არ არის ის დრო, როცა აფხაზეთის ყველა კოლმეურნეობა მილიონერი გახდება.

აფხაზეთის კოლმეურნეობების წარმატებათა მკაფიო მაჩვენებელია მათი საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი ზრდა. 1957 წლის დამლევისათვის კოლმეურნეობების განუყოფელმა ფონდებმა 445,6 მილიონი მანეთი შეადგინა. ეს თითქმის ექვსჯერ მეტია, ვიდრე ომამდელ წლებში იყო.

მაგრამ სოფლის მეურნეობაში ცოტა როდია არსებითი ნაკლი და ხარვეზი. განსაკუთრებით დიდი მუშაობა მოგველის ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების მოვლის გაუმჯობესების დარგში. ზოგიერთი კოლმეურნეობა სიმინდისა და ბოსტნეულის ჯერ კიდევ დაბალ მოსავალს იღებს, ყურადღებას არ აქცევს მევენახეობისა და მებაღეობის განვითარებას. ყველაფერი როდია გაკეთებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის. აფხაზეთის კომუნისტები, ყველა მშრომელნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, გაკეთებენ ყველაფერს, რაც საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი კვეთი აღმავლობისათვის.

ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუშრეტელი რეზერვები აქვთ უმცირესი ხარჯებით პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, მიწისა და ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის.

აფხაზეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმთავრესი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება, ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი შესაძლებლობები გვაქვს.

დიდი რეზერვები გვაქვს აგრეთვე პირუტყვის სულადობის გადიდებისათვის, ხოლო, რაც მთავარია, მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის.

ამხანაგებო! აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ შვიდწლედისათვის დასახული დიადი გეგმები. (ტაში).

ამხ. ა. ვ. ძამაშვილის სიტყვა

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის აგლოსაბრძმედი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი მნიშვნელოვანი საწარმოო გამარჯვებებით შეეგება საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას. საბრძმედე საამქრომ წარმატებით დაამთავრა 1958 წელი. ბრიგადებმა, რომლებსაც ოსტატები შ. გორდაშვილი, გ. კოპაძე, ა. გიგინეიშვილი, ა. გოგიშვილი, ი. აბრამიშვილი, კ. კობერიძე, ნ. პარასტაშვილი ხელმძღვანელობენ, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს მრავალი ასეული ტონა თუჯი.

ახალ წარმატებებს ვაღწევთ 1959 წლის პირველი დღეებიდანვე. იანვრის გასულ დღეებში ქვეყანას გეგმის გადამეტებით მივეცით 750 ტონა თუჯი. ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, № 2 ბრძმედს ემსახურება. ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისიდან ცნობილი დონეცელი მეშახტის ნიკოლოზ მამაის მაგალითისამებრ ჩავებით სოციალისტურ შეჯიბრებაში მეტი თუჯისათვის, ხოლო როგორც კი მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის მახარისხებელი დეპოს მუშებმა კომუნისტური შრომის ბრიგადა შექმნეს, ჩვენ პირველნი გამოვეხმაურეთ ამ პატრიოტულ თაოსნობას.

ჩვენმა კომუნისტური შრომის ბრიგადამ ვალდებულება აიღო — პარტიის XXI ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის ზევით გამოგვეშვა 650 ტონა თუჯი, ყოველ ცვლაში გეგმის გადამეტებით გამოგვედინა 30 ტონა თუჯი. დღეისათვის უკვე გამოვადნეთ 560 ტონა თუჯი.

ამ მაღალ მაჩვენებლებს მივაღწიეთ თუჯის წარმოების გადიდების ისეთი რეზერვების გამოვლენებითა და გამოყენებით, როგორიც არის ბრძმედის საკერძის ქვეშ აირის წნევის გაზრდა 0,6 ატმოსფეროთი, ტემპერატურის 70 გრადუსით ამაღლება, ტონა კოქსზე მადნის დატვირთვის 500 კილოგრამამდე გადიდება და სხვ.

ჩვენი კოლექტივის ნახევარზე მეტი ჩაბმულია ტექნიკურ და ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში, ეს საშუალებას გვაძლევს შედარებით სწრაფად ავითვისოთ წარმოების ახალი ტექნოლოგია.

ამხანაგებო! რუსთავის მეტალურგების სახელით ამ ტრიბუნიდან სათანადო ორგანოებს ვთხოვ გაგვიწიონ დახმარება რუსთავში უმაღლესი პოლიტექნიკური განათლების გაუმჯობესებაში. საჭიროა პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსთავის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში სწავლება მოეწყოს ორ ცვლად. აუცილებელია უახლოეს დროში ინსტიტუტისათვის აიგოს შენობა, რაც საშუალებას მოგვცემს ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობა გადმოტანილ იქნას თბილისიდან რუსთავში.

რუსთავის მეტალურგებმა უახლოეს ხანში თუჯის გამოდნობა არსებულ აგრეგატებზე უნდა გაადიდონ რვა პროცენტით. ამ ამოცანის განხორციელება მოითხოვს მთელ რიგ ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებებს. აუცილებელია გაუმჯობესდეს საამქროს მომარაგება საკმაო აგლომერატით.

საჭიროა აგრეთვე გადაწყდეს კოქსვადი ქვანახშირის ხარისხისა და მისი ღირებულების საკითხი. საქართველოს ქვანახშირის კომბინატი შედარებით უფრო ცუდი ხარისხისა და მაღალი თვითღირებულების კონცენტრატს გვაწვდის, ვიდრე დონბასის შახტები.

პერსპექტიული გეგმის შემუშავებისას ჩვენ, რუსთავის მეტალურგები, იმ დასკვნამდე მივედით, რომ აუცილებელია ქარხანასთან მესამე ბრძმედის აშენება. ამ საკითხის დაყენებისას იმას ვეყრდნობით, რომ ჩვენი ქარხნის ორი საკოქსე ბატარეა მთლიანად უზრუნველყოფს სამი ბრძმედის მუშაობას. ეს გამოიწვევს იმას, რომ ტონა თუჯზე დაიხარჯება არა 910 კილოგრამი კოქსი, როგორც ამჟამად, არამედ 600-650 კილოგრამი.

ამხანაგებო! ბრიგადის სახელით საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას პირობას ვაძლევ, რომ სკკპ XXI ყრილობის გახსნის დღისათვის ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 650 ტონის ნაცვლად სამშობლოს მივცემთ 700 ტონა ზეგეგმით თუჯს. (ტაში).

ამხ. შ. დ. კიკნაძის სიტყვა

ჟუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის ავტომექარხნის დირექტორი

ამხანაგებო! ჟუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა ახალი წარმატებებით აღნიშნა საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობა. 1958 წლის საწარმოო გეგმა ძირითადი პროდუქციის გამოშვების დარგში შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდა მრავალი ავტომობილი, ხოლო საერთო პროდუქცია გამოშვებულია ათობით მილიონი მანეთით მეტი ღირებულებისა, ვიდრე 1957 წელს.

1958 წელს ჩვენ ექვმენით მანქანების ახალი ნიმუშები — 5-ტონიანი სატვირთო ავტომობილი და 8-ტონიანი საწევარი ახალი კაბინებით, რომლებიც დადგმულია ძრავას ზემოთ. ახალი მანქანების ნიმუშები მოსკოვში დაათვალიერეს, და სპეციალისტებმა მათ კარგი შეფასება მისცეს.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, მოკლე ხანში ქარხანაში გაიზარდნენ მუშათა, კონსტრუქტორთა, ტექნოლოგთა, უბნების, საამქროების ხელმძღვანელთა შესანიშნავი ეროვნული კადრები, რომლებიც იღებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ უფრო სრულად გამოიყენონ მთელი რეზერვები პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის.

როდესაც წარმატებებზე ვლაპარაკობთ, ამავე დროს არ შეგვიძლია თვალი ავარიდოთ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, წარმატებით შეასრულონ ქარხნის კოლექტივის წინაშე შვიდწლედში მდგომი ამოცანები.

ქუთაისის ავტომობილმშენებლების წინაშე დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დგას. მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ ავტომობილის სათადარიგო ნაწილების გამოშვების მოცულობა. ავითვისოთ ორი ახალი ავტომანქანის — ხუთტონიანი სატვირთო ავტომობილისა და რვატონიანი ავტოსაწევარის სერიული გამოშვება. 1965 წელს ახალი მარკების ავტომობილების გამოშვება 1958 წელთან შედარებით ორნახევარჯერ და უფრო მეტად გადიდდება, ხოლო ავტომობილის სათადარიგო ნაწილებისა — სამჯერ.

წარმოების შემდგომი ზრდა რომ უზრუნველვყოთ, საჭიროა გავადიდოთ საწარმოო ფართობები და აღვჭურვოთ ქარხანა მაღალი წარმადობის ახალი მოწყობილობით.

ქარხნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საკითხს.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საბინაო მშენებლობისათვის დაგეგმილი ასიგნებანი ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს, ეს ასიგნებანი უზრუნველყოფენ წელიწადში 2.000-2.500 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემას, ეს კი ქარხნისათვის საკმარისი არ არის.

ამხანაგებო! მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამ და კოლმეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გადაცემამ შექმნა ახალი დიდი შესაძლებლობანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციისათვის. მაგრამ კოლმეურნეობებში არ არის მცირე მექანიზაციის მანქანები. ქუთაისის ავტომექარხნის კოლექტივმა ამ მხრივ ინიციატივა გამოიჩინა, მოკლე ვადაში დააპროექტა და ააგო ბალისა და პლანტაციის მცირეგაბარიტიანი, უნივერსალური ტრაქტორის „რიონის“ პირველი საცდელი ნიმუშები. ტრაქტორის კონსტრუქცია მოწონებულია, მანქანამ წარმატებით გაიარა გამოცდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაკეთა განაცხადი ამ ტრაქტორებზე.

ტრაქტორი „რიონი“ ესაჭიროება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას. ამიტომ აუცილებელია უმოკლეს ვადაში მოვაწყოთ ამ მანქანის გამოშვება.

მინდა შევეხო ზოგიერთ საკითხს, რომლებიც, ჩემი აზრით, ყურადღების ღირსია. პირველი მათგანია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხი. აუცილებელი არ არის ყოველ წელიწადს ვამტკიცებდეთ ფონდირებული მასალების ნორმებს. საჭირო არ არის ლიმიტებზე შეკვეთებს ჩვენი ქვეყნის ყველა მეტ-

(დასასრული მე-3 გვერდზე).

იხილეთ შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა

კამათი ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო

(დასასრული)

ლურგიულ ქარხანაში ვგზავნიდეთ. ეს ძვირად უჯდება სახელმწიფოს. ახლა შემოღებულია წესი, რომ კოოპერაციულ მიწოდებათა გეგმა შეთანხმებული უნდა იყოს მიმწოდებელ ქარხნებთან პირდაპირი კავშირის საფუძველზე. მაგრამ მიმწოდებელი ქარხნები ყოველთვის სრული მრცულობით როდი იღებენ კოოპერაციულ მიწოდებათა გეგმების პროექტებს. საჭიროა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია ამტკიცებდეს სარესპუბლიკათშორისო მიწოდების გეგმებს.

ქარხანაში დიდი მუშაობა უნდა იქნას გაწეული საწარმოო პროცესების მექანიზაციისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის სახელით პირობა მივცე საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას, რომ ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები. (ტაში).

ამხ. დ. მ. მამულაძის სიტყვა

საქართველოს კპ აბარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! ქართველი ხალხი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში უდიდესი გამარჯვებებით ხვდება საქართველოს კომუნისტური პარტიის XIX რიგგარეშე ყრილობას, რომელიც განიხილავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

აჭარის მშრომელებმა განსაკუთრებით დიდი წარმატებები მოიპოვეს უკანასკნელ წლებში. 1958 წელს აჭარის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო გეგმა და ქვეყანას გეგმის ზევით მისცა 56,6 მილიონი მანეთის პროდუქცია. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯა 177 მილიონი მანეთი, რაც 37 მილიონი მანეთით აღემატება წინა შესაბამის პერიოდში ამ მიზნით გაღებული სახსრების ოდენობას.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, სიმინდისა და სხვა კულტურების მოსავლიანობა, გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. გადაჭარბებით შესრულდა ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების გეგმები.

მრეწველობის დარგში ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ მოწინავე საწარმოებთან ერთად ჯერ კიდევ არიან ისეთი საწარმოებიც, რომლებიც სისტემატურად ვერ ასრულებენ გეგმებს.

სეროზული ხარვეზებია სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში. შარშან შეუსრულებელი დარჩა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა. ზოგჯერ სათანადო ყურადღება არ ექცევა მშენებლობის ხარისხს, დაბალია მშენებლობის ინდუსტრიულობა, ყველა ობიექტი ვერ არის უზრუნველყოფილი საჭირო მექანიზმებით.

ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობაში ზუსტად არ ხორციელდება აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ღონისძიებანი, სათანადოდ ვერ უვლიან სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, ნაკლები ყურადღება ექცევა პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას, მის მოვლა-პატრონობას, რის გამო ზოგიერთ კოლმეურნეობაში მეტად დაბალია მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

შვიდწლიანი გეგმით დიდი პერსპექტივები ისახება აჭარის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი განვითარებისათვის. 1965 წლისათვის მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება გაიზრდება 1,8-ჯერ. აშენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები, რეკონსტრუირებულ იქნება და ახალი ტექნიკით აღიჭურვება არსებული საწარმოები. დიდი ყურადღება მიექცევა ადგილობრივი მეურნეობის საწარმოთა გაფართოებას, მნიშვნელოვნად გაიზრდება საშენი მასალების წარმოება.

შვიდ წელიწადში აშენდება და ექსპლოატაციოდ გადაეცემა 200 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, დამთავრდება ქ. ბათუმის ყველა საცხოვრებელი სახლის გაზიფიკაცია. დიდი მუშაობა იქნება გაწეული ქალაქების ბათუმის, ქობულეთის, რაიონული ცენტრებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის. გათვალისწინებულია საბჭოთა ვაჭრობის მნიშვნელოვნად გაფართოება. საგრძნობლად გაუმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება.

სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენს ამოცანას შეადგენს შვიდწლედის მანძილზე გავაშენოთ 1.000 ჰექტარი ჩაის, 1.000 ჰექტარი ციტრუსების პლანტაციები, 2.000 ჰექტარი ხეხილის ბაღები, 600 ჰექტარი ვენახი. 1965 წლისათვის უნდა უზრუნველვყოთ ჰექტარზე საშუალოდ 5.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთლის მიღება, 550-600 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფის, 2.000-2.500 ტონა თამბაქოს და სულ ცოტა 20.000 ტონა ხილის დამზადება. ასევე საგრძნობლად გავადიდებთ ყურძნის, სიმინდის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების მოსავლიანობას.

მეცხოველეობის დარგში ჩვენი ამოცანაა შვიდწლედის ბოლოსათვის უზრუნველვყოთ 100 ჰექტარ სავარგულებზე 50 ცენტნერი ხორცისა და 270 ცენტნერი რძის მიღება.

ამხანაგებო! მინდა ყრილობის წინაშე რამდენიმე საკითხი დავაყენო. ჩაის გადამუშავების საქმეში მოსალოდნელი სიძნელეებისა და ნედლეულის დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია სახალხო მეურნეობის საბჭომ ორი-სამი წლის განმავლობაში დაამთავროს ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში თითო ჩაის ფაბრიკის აგება.

იმის გამო, რომ დამამზადებელი ორგანიზაციები ვერ ასწრებენ ხილის დამზადება-გადამუშავებას, ჩვენში დიდძალი ხურმა, მსხალი და ვაშლი ფუჭდება. საჭიროა ცეკავშირმა ამთავითვე მიიღოს ყველა საჭირო ზომა ხილისა და ხურმის სახმობი ქარხნების აშენებისათვის, აგრეთვე სეზონის დაწყებამდე აშენოს ბათუმის რაიონის სოფელ გონიოში ციტრუსების შემფუთავი ქარხანა.

საყოველთაოდ ცნობილია ქობულეთის, ციხისძირის, მწვანე კონცხის, მახინჯაურის კურორტები, სადაც ყოველწლიურად საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ათეულათასობით დამსვენებელი ჩამოდის. მაგრამ ეს კურორტები სათანადოდ არ არის კეთილმოწყობილი, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების უმრავლესობა მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში. ვთხოვ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და მინისტრთა საბჭოს მიმდინარე შვიდწლედში მეტი დახმარება გაგვიწიონ კურორტების მოწყობის საქმეში.

შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებულია ბევრი დიდმნიშვნელოვანი ნავსადგური. ისინი დაქვემდებარებულია საზღვაო-სანაოსნო სამმართველოსადმი, რომელიც ქ. ოდესაში იმყოფება. ჩვენი აზრით, მომწიფდა საკითხი შეიქმნას საქართველოს საზღვაო-სანაოსნო სამმართველო, რაც უფრო ოპერატიულს გახდის და დიდად გაუმჯობესებს საზღვაო-სანაოსნო საქმეს და ხელს შეუწყობს ადგილობრივ მეზღვაურთა კადრების მომზადებასა და დაწინაურებას.

აჭარის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა, რომელსაც ჩვენს ქვეყანასა და ხალხს სკკპ მომავალი XXI ყრილობა დაუსახავს. (ტაში).

ამხ. ტ. ვ. ფოფხაძის სიტყვა

ჰიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს ამწყობელი

ამხანაგებო!

მძლავრი ალმავლობის დღეებს განიცდის ჩვენი დიადი სამშობლო. საბჭოთა ადამიანები დიდი ქმაყოფილების გრძნობით ეცნობიან და ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებმა მარგანეცის ქალაქის მშრომელებში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხში, ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა. შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს მარგანეცის მრეწველობის უდიდეს ზრდას. ჰიათურაში დაბანდებული იქნება ასეულ მილიონობით მანეთი. აშენდება ახალი მაღაროები და ფაბრიკები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები და საავადმყოფოები.

შეგნებული აქვთ რა მათ წინაშე მდგომი ამოცანების მთელი სიდიადე, ჰიათურელი მაღაროელები ძალღონის დაუზოგავად შრომობენ სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში თავი ისახელეს ორჯონიკიძის, ვოროშილოვის, დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოების კოლექტივებმა.

ქალაქის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მშენებლებს, კერძოდ, „მარგანმშენის“ ტრესტის კოლექტივს. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლები წლების მანძილზე ვერ ასრულებენ გეგმებს. „მარგანმშენის“ ტრესტს ძნელ პირობებში უხდება მუშაობა. მას არ ჰყოფნის აღგილზე არსებული საშენი მასალების ბაზა, რომელიც გაფართოებას საჭიროებს. აუცილებელია ამ საქმეში უკეთ დაკვეხმაროს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო.

მართალია, მარგანეცის ტრესტმა შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა და საერთო პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალებები, მაგრამ ამ დავალებათა შესრულება მძიმე პირობებში გვიხდებოდა. ტრესტი თვეების განმავლობაში დიდი შეფერხებით იღებდა სამაგრ მასალას, ამასთან ეს მასალა სანახევროდ უვარგისი, არასტანდარტული იყო.

ქალაქ ჰიათურას ნაკლებ დახმარებას უწევს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო. დიდი ხანია გამოყოფილია სათავსები საკონსერვო ქარხნისათვის, მაგრამ სამინისტრომ დღემდე ისიც ვერ მოახერხა, რომ სპეციალისტი გამოეგზავნა პროექტის შესადგენად.

მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობას. ჰიათურაში ძალიან ბევრია გასაკეთებელი მგზავრთა კულტურული მომსახურებისა და სადგურის კეთილმოწყობისათვის. რკინიგზამ დღემდე ვერ მოახერხა მოეწყო მარგანეცის გადასაზიდი ვაგონების გარეცხვა. სამგზავრო ვაგონების სიმცირის გამო გაძნელებულია მგზავრების გადაყვანა.

ჩვენს წინაშე მიმდინარე შვიდწლედში დიდი ამოცანები დგას. დაძაბული მუშაობა გვმართებს იმისათვის, რომ ვასახელოთ დედა სამშობლო. ჰიათურის მშრომელთა სახელით სიტყვას ვაძლევ ყრილობას, რომ არ დავიშურებთ ძალასა და ენერგიას, რათა მიმდინარე შვიდწლედში წარმატებით გადავჭრათ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები, მივცეთ სამშობლოს მეტი შავი ოქრო — მარგანეცი. (ტაში).

ამხ. ო. დ. გოცირიძის სიტყვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი რიგგარეშე XXI ყრილობა, რომელზეც განხილული იქნება თეზისები ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“. უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი იქნება ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

ამხ. მჟავანაძის მოხსენებაში დამაჯერებლად და მკაფიოდ ასახულია შვიდი წლის მანძილზე ჩვენი განვითარების შესანიშნავი პერსპექტივები. საქართველოს სს რესპუბლიკაში შვიდი წლის მანძილზე საერთო პროდუქციის გამოშვება 1958 წელთან შედარებით გადიდდება 75 პროცენტით და თითქმის 27 მილიარდ მანეთს მიაღწევს. წარმოების საშუალებათა წარმოება გაიზრდება 87 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება — 57 პროცენტით.

მრეწველობასთან ერთად შემდგომ განვითარდება სოფლის მეურნეობის ყველა დარგი და პირველ რიგში მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა და მეხილეობა, აგრეთვე პროდუქტიული მეცხოველეობა, ახალ წარმატებებს მიაღწევს ჩვენი მეცნიერება, კულტურა, ფართოდ განვითარდება სკოლა-ინტერნატების ქსელი.

ახალი ტექნიკის, მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვით, სოციალისტური შეჯიბრების განვითარების საფუძველზე, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გადიდდება 51 პროცენტით, ხოლო მშენებლობაში — 62 პროცენტით. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 1965 წელს 1958 წელთან შედარებით 60 პროცენტით გადიდდება.

სავსებით და მთლიანად ვუჭერ რა მხარს და ვიწონებ საკონტროლო ციფრებს, საჭიროდ მიმაჩნია შევეხო ზოგიერთ საკითხს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

ელექტროენერგიის დეფიციტის ლიკვიდაციის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ მრავალი წლის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში სათბობ-ენერგეტიკული ბაზა ჩამორჩებოდა და ახლაც ჩამორჩება მრეწველობის განვითარების ტემპებს. ეს არის ერთ-ერთი შემაკავებელი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის სახალხო მეურნეობის ახალი დარგების განვითარებას, არსებულ საწარმოთა გაფართოებას. ამიტომ განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ, როგორც მოხსენებაში იყო ნათქვამი, დადებითად გადაიჭრება ენერგიის მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი.

მიზანშეწონილი იქნება სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების ტემპების გაძლიერებისა და საშენ მასალათა გამოშვების გადიდების მიზნით 1959-1961 წლებისათვის დამატებით გამოიყოს 150-200 მილიონი მანეთი და შესაბამისად პროპორციულად შემცირდეს კაპიტალურ დაბანდებათა თანხა სახალხო მეურნეობის დანარჩენ დარგებში. საკითხის ასე გადაჭრა გვგიადვილებს მუშაობას და დაგვეხმარება გავაიაფოთ მშენებლობა შემდგომ წლებში.

შვიდი წლის განმავლობაში კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის გამოყოფილი იქნება 792 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი, დაახლოებით 1 მილიარდ 200 მილიონ მანეთი შედგება პროცენტული ანარიცხებიდან, საკოლმეურნეობათაშორისო და საკოლმეურნეო საწარმოთა ნაწილი აშენდება კოლმეურნეობათა სახსრებით. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვან ზრდას, არსებული საწარმოები, განსაკუთრებით ღვინისა და საკონსერვო მრეწველობის საწარმოები, ვერ უზრუნველყოფენ მათს მიღებასა და ხარისხოვან გადამუშავებას. ამიტომ ერთხელ კიდევ უნდა განვიხილოთ მრეწველობის ამ დარგების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები და გამოვნახოთ მათთვის დამატებითი სახსრები, საშენი მასალები, მოწყობილობა და აგრეგატები. აუცილებლად საჭიროა ამაღლდეს ღვინის და გადამმუშავებელი მრეწველობის კულტურა. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა, საჭიროა განხილულ იქნას მეორე მხარეც. ზემოაღნიშნულ საწარმოთა უმეტესობა სეზონური ხასიათისაა. მაქსიმალური დატვირთვა გრძელდება ერთიდან 6 თვემდე, მაშინ როცა დანარჩენ დროს მოწყობილობა მოცდენილია, ხოლო პერსონალს დაითხოვენ ხოლმე. უნდა დავუფიქრდეთ საკითხს კომბინირებულ საწარმოთა მშენებლობის შესახებ, რომლებიც მოგვცემენ მათი სრული დატვირთვის შესაძლებლობას. ამავე დროს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ უნდა შეიმუშაონ აგროტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებელს გახდიან გავახანგრძლივოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით ხილის, ბოსტნეულისა და ყურძნის შემოსვლისა და აღების ვადები. ცნობილია, რომ ასეთი მუშაობა წარმოებს მთელ რიგ ქვეყნებში და საკმაოდ კარგ შედეგებს იძლევა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ მუშაობას ეწევიან სამმართველო აპარატის გამარტივებისა და გაიაფებისათვის. ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იმ მშრომელთა რიცხვი, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული წარმოების მატერიალურ სფეროში, ჯერ კიდევ მცირე პროცენტს შეადგენს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე სავსებით სწორად იყო დაყენებული საკითხი კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვისა და ანგარიშსწორების დაყენების გაუმჯობესების შესახებ. ჩვენში დიდი სხვადასხვაობაა შრომადღის ღირებულების განსაზღვრაში, მის ანაზღაურებაში. ბევრ რაიონსა და კოლმეურნეობაში ანგარიშებს არასწორად ადგენენ.

საჭიროა, როგორც ამაზე ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, პრაქტიკულად შევამოწმოთ შრომის აღრიცხვისა და ანაზღაურების სხვადასხვა ფორმები, რათა მათგან შევარჩიოთ ისეთები, რომლებიც ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და სწორია.

ამხანაგებო! უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკებს ჯერ კიდევ ბევრი რამ არ გაუკეთებიათ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობის ღრმა ანალიზი, რომ განისაზღვროს საწარმოო ძალების ყველაზე უფრო მიზანშეწონილი განლაგება, სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარების სწორი მიმართულება. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით კომუნისტები, სახელმწიფო საგეგმო კომისიის აპარატის მუშაკები აღმოფხვრიან ამ ნაკლოვანებებს და უზრუნველყოფენ მათთვის დაკისრებული ამოცანების უთუოდ შესრულებას.

ამხანაგებო! ჩვენ ვეგებებით ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას, ჭეშმარიტად ისტორიულ ყრილობას. დასახული გეგმები დიადია. და უეჭველია, რომ მთელი საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით წარმატებით გადაწყვეტს დასახულ ამოცანებს, მიაღწევს ახალ წარმატებებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადიდებლად. (ტაში).

ამხ. გ. ა. დუჩიძის სიტყვა

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარე

ამხანაგებო! კოლმეურნეობამ შეიმუშავა შვიდწლიანი პერსპექტიული გეგმა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ ზრდას.

გასულ წელს კოლმეურნეობამ გარკვეული წარმატებანი მოიპოვა. ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 1.762 კილოგრამი რძე, გაცილებით მეტი, ვიდრე 1957 წელს. 1958 წელს მარტო მეფრინველეობამ კოლმეურნეობას ნახევარ მილიონზე მეტი ფულადი შემოსავალი მისცა. ხორცის წარმოებაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს მეღორეობას. გასულ წელს სახელმწიფოს 41 ტონა ღორის ხორცი ჩაბარდა. წელს გათვალისწინებულია გავასუქოთ 3.000 სული ღორი.

შვიდწლედის პირველ წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ვაწარმოებთ 60 ცენტნერ ხორცს, 2 ცენტნერ მატყლს, 100 ცენტნერ რძეს და 30.000 ცალ კვერცხს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მერძეული მესაქონლეობისა და პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდებას, მეფრინველეობის, მევენახეობისა და მეხილეობის, როგორც კოლმეურნეობის ეკონომიური ძლიერების ერთ-ერთი მთავარი წყაროს შემდგომ განვითარებას.

შვიდწლედის ბოლოსათვის ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ვაწარმოებთ 200 ცენტნერ რძეს, 70 ცენტნერ ხორცს, აქედან 86 ცენტნერ ღორის ხორცს.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასეთი ტემპით გადიდება მოითხოვს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ამიტომ გადავწყვიტეთ მოვაწყოთ სწორი თესლბრუნვები, სადაც დიდ ადგილს დაიკავებს ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესვა-მოყვანა.

დიდი შრომითი აღმავლობით დაიწყო შვიდწლედის პირველი წელი. დღითიდღე მატულობს წველადობა. იანვრის პირველ ათდღიურში თვითეულ ძროხაზე მიღებულია 60 კილოგრამი რძე, 18 ლიტრით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

დიდია ჩვენი რეზერვები და შესაძლებლობანი. ამიტომ გადავწყვიტეთ თვითეულ საფურაქე ძროხაზე 2.000 ლიტრი რძე და თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე 110 კვერცხი მივიღოთ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია. ამჟამად 350-ზე მეტი ახალგაზრდა სასახელოდ შრომობს მეცხოველეობის ფერმებში, მევენახეობისა და მემინდვრეობის ბრიგადებში.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ტექნიკის სათადარიგო ნაწილები თუ ექნება, კოლმეურნეობა უფრო ოპერატიულად და მაღალხარისხოვნად აწარმოებს რემონტს, ვიდრე სტს-ები აწარმოებენ. ამიტომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობების სათადარიგო ნაწილებით მომარაგებას.

შვიდწლიანი გეგმით ვენახების ფართობი 100 ჰექტარიდან 600 ჰექტარამდე უნდა გაიზარდოს. ვაზი, როგორც ყველაზე შრომატევადი კულტურა, დიდ მუშახელს მოითხოვს. ტექნიკა ბევრი გვაქვს, მაგრამ ვენახების დასამუშავებელი მექანიზმები ძალიან ცოტაა. ამის გამო მექანიზებული წესით მხოლოდ ვაზის რიგთაშორის დამუშავებას ვაწარმოებთ. საჭიროა ჩვენმა კონსტრუქტორებმა იზრუნონ შექმნან ისეთი მანქანა-იარაღები, რომლებიც შრომას შეუმსუბუქებს მევენახეებს და დაეხმარება მათ ყურძნის უფრო მაღალი მოსავლის მიღებაში.

ჩვენი კოლმეურნეობის ყველა მშრომელის სახელით პირობას ვაძლევ საქართველოს კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას, რომ არ დავზოგავთ ჩვენს ენერგიასა და ცოდნას შვიდწლედით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ამხ. გ. გ. სანაკოევის სიტყვა

საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! სამხრეთ ოსეთის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად კონკრეტული შრომითი საქმეებით ხვდებიან საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას.

ზრდიან რა შრომის ნაყოფიერებას, უზრუნველყოფენ რა მზა პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვან გადიდებას, ოქტის სამრეწველო საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს გასული სამეურნეო წლის გეგმა. გასულ წელს სტალინირში მწყობრში ჩადგა ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციის გამომშვები ორი დიდი ქარხანა — „ელექტროიზრომანქანა“ და „მინანქარსადენი“. საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე საშენი მასალების ორი საწარმო.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა საკოლმეურნეო სოფლის ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის, ქალაქ სტალინირისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის დარგში. ამუშავდა ავტომატური ტელეფონის სადგური და სარეტრანსლაციო სატელევიზიო სადგური. გასულ წელს კაპიტალური დაბანდებანი 1957 წელთან შედარებით ერთნახევარჯერ გადიდდა.

უკანასკნელ წლებში სერიოზული წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. გასული წელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის წელი იყო. 1958 წელს ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 1.020 ლიტრი რძე — 122 ლიტრით მეტი, ვიდრე 1957 წელს, და სამჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს. რძის საერთო გამოსავლიანობა 1957 წელთან შედარებით გაიზარდა 14.600 ცენტნერით, ხოლო 1953 წელთან შედარებით გადიდდა ხუთჯერ.

ხუთი წლის განმავლობაში ოქტის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი ერთიორად გადიდდა, ხოლო ძირითადი სახსრები და განუყოფელი ფონდები — ერთნახევარჯერ. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გაადიდა შრომადღის ღირებულება.

ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისა და დამზადების წლიური გეგმები გასულ წელს ოლქმა გადაჭარბებით შეასრულა.

იმისათვის, რომ განვახორციელოთ ამოცანები, რომლებიც დასახულია სკკპ XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, შვიდი წლის მანძილზე სამხრეთ ოსეთში დასახულია სამუშაოთა დიდი პროგრამა. საწარმოთა საერთო პროდუქციის მოცულობა უნდა გადიდდეს 332 პროცენტით, მათ შორის ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციისა 205 პროცენტით. კაპიტალურ დაბანდებათა თანხა მიაღწევს თითქმის 200 მილიონ მანეთს, საბინაო მშენებლობაში სახელმწიფო დაბანდებათა თანხა — 32 მილიონ მანეთს.

შვიდი წლის განმავლობაში აშენდება საკონსერვო, ღვინის, ხილსაფუთავი და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი სხვა ქარხნები. განზრახულია მთლიანად დამთავრდეს კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების ელექტროფიკაციის, ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციის სამუშაოები. მნიშვნელოვნად განვითარდება თაღკის წარმოება, სიმაგრისა და ტყვია-თუთიის მადნების მოპოვება.

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, კოლმეურნეობებში თესლბრუნვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა შესაძლებლობას მოგვცემს მკვეთრად გავადიდოთ ერთფლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ჩვენ ამოცანად ვისახავთ შვიდწლედის დამლევისათვის ავიყვანოთ საშუალოდ ერთი საფურაქე ძროხის წველადობა 2.000 კილოგრამამდე, გავადიდოთ რძის წარმოება 2,5-ჯერ, ხორცის წარმოება 2-ჯერ და ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მივიღოთ 340 ცენტნერი რძე და 54 ცენტნერი ხორცი.

ყოველი ღონისძიებით გავადიდებთ ახალი ბაღებისა და ვენახების ფართობებს.

ახლა მინდა შევჩერდე ზოგიერთ ღონისძიებაზე, რომლებიც

ამხ. ტ. ბ. ბოლკვაძის სიტყვა

ბორჯომის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ამხანაგებო! ბორჯომელ ტყეთმოდან ბოლო ორ-სამ ათეულ წელიწადში ბევრი ბინადარი ამოწყდა. ეს ბინადრები ბევრ ზიანს აყენებენ ტყეებს, ბაღებს, ბოსტნებს, ბალახებს, ბაჩოებს, ბოსლებს, ბინებს, ბალიშებს, ბალნიკებს, ბალანებს, ბალანსებს, ბალანსირებულ ბალანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებს, ბალანსირებულ ბალანებიანებს, ბალანსირებულ ბალან

ყოველი მხრიდან

17 იანვარს ა. ი. მიქოიანი შეხვდება პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს

წყალში ჩაუშვეს დიზელ-ელექტროყინულმჭრელი „მოსკოვი“

ა. ი. მიქოიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ჩიკაგო, 10 იანვარი. (საკდესი). 9 იანვარს საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და ელჩი მ. ა. მენშიკოვი დაესწრნენ „ოპერა ჰაუსში“ საბჭოთა მოცეკვავეების ანსამბლის „ბერიოზკას“ პირველ კონცერტს ჩიკაგოში. ანტრაქტის დროს მთელი ხალხი მობრუნდა ა. ი. მიქოიანისაკენ და მიესალმა მას ხანგრძლივი ტაშით.

სან-ფრანცისკო, 11 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ). გუშინ დღისით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობს, ჩიკაგოდან სან-ფრანცისკოს ჩამოვიდა. აეროდრომიდან მისვლის შემდეგ ა. ი. მიქოიანი გაემგზავრა პრესის კლუბში, სადაც მას ელოდნენ ადგილობრივი და უცხოეთის პრესის კორესპონდენტები, აგრეთვე 200-მდე სტუმარი ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი.

კლუბის პრეზიდენტი არტურ ლინდსეი მიესალმა ა. ი. მიქოიანს და მის თანმხლებ პირებს და სიტყვა მისცა სსრ კავშირის ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვს. გააცნო რა შეკრებილთ ა. ი. მიქოიანი, ელჩმა თქვა, ა. ი. მიქოიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა, როგორც ჩემი სტუმარი, მაგრამ ბევრი ამერიკელის სტუმარი გახდა.

შემდეგ სიტყვა მიეცა ა. ი. მიქოიანს. ჟურნალისტები და სტუმრები, რომლებითაც გაივსო პრესის კლუბის კონფერენც-დარბაზი, ტაშით შეხვდნენ მას.

ა. ი. მიქოიანმა პრესის წარმომადგენელთა მეშვეობით გადასცა ქალაქ სან-ფრანცისკოს და კალიფორნიის შტატის მცხოვრებთ საბჭოთა ხალხისა და პირადად თავისი სალამი და მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი მიღებისათვის. თქვენ რომ აქ მოხვედით, თქვა მან, იმას ნიშნავს, რომ გაინტერესებთ ჩვენი აზრი, გინდათ უკეთ გაიცნოთ ჩვენი თვალსაზრისი. ეს კი კარგი დასაწყისია.

შემდეგ ა. ი. მიქოიანმა უპასუხა ჟურნალისტების ბევრ კითხვაზე.

უპასუხა რა კითხვაზე, რა შეუძლია კომუნიზმს მისცეს ამერიკელ მუშასო, ა. ი. მიქოიანმა თქვა: „მე რომ ამ კითხვაზე პირდაპირ ვუპასუხო ბრალად დამდებენ კომუნისტურ პროპაგანდას“ და შეერთებული შტატების საშინაო საქმეებში ჩარევას. მაგრამ მე შემიძლია არაპირდაპირ გავცე პასუხი ამ კითხვაზე. საბჭოთა კავშირში წარმოების განვითარების ისეთი დონის დროს, როგორიც ამერიკის შეერთებულ შტატებშია, მუშა ორჯერ უკეთესად იცხოვრებდა, ვიდრე ამერიკელი მუშა ცხოვრობს“.

უპასუხა რა მეორე კითხვაზე, ა. ი. მიქოიანმა ილაპარაკა საბჭოთა პროფკავშირების როლისა და უფლებათა შესახებ და იმის შესახებ, რომ ეს უფლებები ამ უკანასკნელ ხანს გაფართოვდა.

რამდენიმე კითხვა შეეხო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობას.

უპასუხა რა კითხვაზე, რომელიც ეხებოდა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კულტურულ გაცვლას, ა. ი. მიქოიანმა თქვა, რომ შეთანხმება კულტურული გაცვლის შესახებ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის სასიხარულო ფურცელია. „ეს შეთანხმება,—თქვა ა. ი. მიქოიანმა,—სრულდება. და კარგია, რომ ამერიკელებს აღარ ეშინიათ საბჭოთა მოცეკვავე ქალებისა და არ მოითხოვენ, რომ მათ გაისვარონ ხელები და აძლიონ თითების „ანაბეჭდი“. გაიხსენა რა გულთბილი მიღება, რომელიც მოსკოვში ამერიკელ პიანისტს ვან კლიბერნს მოუწყეს, ა. ი. მიქოიანმა ხაზი გაუსვა, რომ მსახიობების გაცვლა, აგრეთვე ყველა დარგში გაცვლა არსებითად შეუწყობს ხელს მშვიდობის საქმეს.

კითხვაზე, თუ რა საკითხზე შეთანხმება მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლადო, ა. ი. მიქოიანმა უპასუხა: „უწინარეს ყოვლისა მშვიდობის საკითხზე. საჭიროა არ გავამწვავოთ ურთიერთობა, ბოლო მოვუღოთ ცივ ომს, ველაპარაკოთ ერთიმეორეს როგორც თანასწორმა თანასწორს, არ მივმართოთ დიქტატს. მაშინ გამოვნახავთ საერთო ენას სადავო საკითხთა გადაჭრის დროს“.

კონკრეტულ პუნქტად, რომელზე შეთანხმებასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება, ა. ი. მიქოიანმა დააასახელა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის პრობლემა. მან ხაზი გაუსვა, რომ ამ საკითხზე შეთანხმება ადვილად იქნებოდა მიღწეული, შეერთებული შტატები რომ არ აფერხებდნენ საქმეს.

მეორე დიდმნიშვნელოვან პუნქტად ა. ი. მიქოიანმა დაასახელა უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების ღონისძიებათა საკითხი. ამერიკის წარმომადგენლები, თქვა მან, დაბრკოლებას უქმნიან ამ პრობლემის გადაჭრას. ისინი იწყებენ კითხვებით, თუ როგორი რაკეტები გვაქვს ჩვენ, როგორი ბომბები გვაქვს და სხვა. ეს, რასაკვირველია, ძალიან საინტერესო საკითხებია, მაგრამ ამ საკითხებით ოღიი უნდა დავიწყოთ, თუ შეთანხმება გვსურს.

შემდეგ, განაგრძო ა. ი. მიქოიანმა, ჩვენ შეგვიძლია გავაფართოოთ ვაჭრობა, ტურისტების გაცვლა, გავაფართოოთ კონტაქტი ყველა დონეზე. ყოველივე ეა ხელს შეუწყობდა ნდობის ატმოსფეროს შექმნას, გააღღობდა ცივი ომის ყინულს.

სან-ფრანცისკოს წარმომადგენელნი, რომელნიც კლუბში შეიკრიბნენ, ტაშით გამოხატავდნენ თავიანთ მოწონებას ყოველთვის, როცა ა. ი. მიქოიანი ამბობდა, რომ საჭიროა შეწყდეს ცივი ომი და გაუმჯობესდეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის.

პრეს-კონფერენციის შემდეგ ა. ი. მიქოიანი იყო სადილზე, რომელიც გამართა ქალაქ სან-ფრანცისკოს „საგარეო ვაჭრობის ასოციაციის“ პრეზიდენტმა რ. ნელსონმა. სასტუმროს დიდ დარბაზში, სადაც სადილი გაიმართა, შეიკრიბა 1.000-მდე სტუმარი — ასოციაციის წევრები და სავაჭრო და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

სადილზე იყო ქალაქ სან-ფრანცისკოს მერი დ. კრისტოფეგი, რომელიც სან-ფრანცისკოს მცხოვრებთა სახელით გულითადად მიესალმა საპატიო საბჭოთა სტუმარს.

მოკლე შესავალ სიტყვაში ასოციაციის პრეზიდენტმა რ. ნელსონმა თქვა, რომ სან-ფრანცისკოს სავაჭრო და საქმიან წრეებს აინტერესებთ საბჭოთა კავშირთან საქონელგაცვლის გაფართოების შესაძლებლობა.

შემდეგ ბ-ნმა ნელსონმა დამსწრეთ ტაშის გრიალში გააცნო მათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი და ა. ი. მიქოიანის თანმხლები სხვა პირები.

მადლობა გადაუხადა რა ასოციაციის წევრებს მიწვევისათვის, ა. ი. მიქოიანმა თქვა, რომ მიღება, რომელიც მას სან-ფრანცისკოში გაუმართეს, ერთხელ კიდევ ადასტურებს ამერიკელი ხალხის მისწრაფებას მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა იქონიოს საბჭოთა კავშირის ხალხთან. სან-ფრანცისკომ, თქვა მან, დიდი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომის დროს როგორც მომარაგების დიდმა ცენტრმა, რომელიც საბჭოთა კავშირს აწვდიდა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო მასალებს. მაშინ, ვიბრძოდით რა საერთო საქმისათვის, ჩვენ დიდად დავმეგობრდით. რუსები და ამერიკელები, ამბობს ა. ი. მიქოიანი მთელი დარბაზის ტაშის გრიალში, საუკეთესო მეგობრები აღმოჩნდნენ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ომში.

ა. ი. მიქოიანი ლაპარაკობს აგრეთვე იმაზე, რომ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის იყო კარგი სავაჭრო ურთიერთობა, რომელიც შემდეგ თითქმის არარად იქცა ცივი ომისა და ხელოვნური შეზღუდვების შედეგად. დადგა დრო, თქვა მან, რომ კვლავ მოვაწესრიგოთ ისეთივე კარგი ვაჭრობა, როგორიც წინათ იყო. კითხულობენ, განაგრძო მან, რა საქონელი შეუძლია საბჭოთა კავშირს მიჰყიდოს შეერთებულ შტატებს? ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, საკმარისია ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირის ექსპორტის საერთო მოცულობა დოლარზე გადაყვანით შეადგენს დაახლოებით 4,5 მილიარდ დოლარს. ამასთან საბჭოთა კავშირს გააქვს 1,5 მილიარდი დოლარის ისეთი საქონელი, რომელსაც შეერთებული შტატები ყიდულობენ სხვა ქვეყნებში. მოაგონა რა, რომ ეკონომიური განვითარების შვიდწლიანი გეგმით საქონლის საერთო წარმოება საბჭოთა კავშირში 80 პროცენტით და მეტად გადიდდება, ა. ი. მიქოიანმა თქვა: „მაშასადამე, ჩვენ გვაქვს საქონელი თქვენთან სავაჭროდ. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ გქონდეთ იმ საქონლის არჩევანი, რომელიც გაინტერესებთ“.

შემდეგ ა. ი. მიქოიანი ამბობს რომ, თუმცა პრეზიდენტი ეიზენჰაუერი თავის პასუხში ნ. ს. ხრუშჩოვის გასული წლის 2 ივნისის წერილზე საერთოდ დადებითად მოეკიდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის გაფართოების საკითხის განხილვას და დაავალა სახელმწიფო დეპარტამენტს განეხილა პრაქტიკული ღონისძიებანი, ამერიკის მხრივ რაიმე ნაბიჯი ჯერჯერობით არ გადადგმულა.

ა. ი. მიქოიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს, რომელმაც ეკონომიური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, შეუძლია არა მარტო იყიდოს ამერიკაში, არამედ აგრეთვე მიჰყიდოს ამერიკის შეერთებულ შტატებს სხვადასხვა საქონელი, მათ შორის თავისი წარმოების უახლესი მანქანები. დროა აღარ ფიქრობდეთ, რომ საბჭოთა კავშირი ჩამორჩენილი ქვეყანაა, თქვა მან. საბჭოთა თანამგზავრები და საბჭოთა ადამიანების შრომით შექმნილი ახალი პლანეტა, რომელიც ბრუნავს მზის გარშემო, მარტო კერძო წარმატება ან რაიმე ერთეული მიღწევა როდია. ეს არის საბჭოთა კავშირის საერთო მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების გამოხატულება. ჩვენ გვსურს ვივაჭროთ თქვენთან, გავაფართოოთ კონტაქტები. ა. ი. მიქოიანის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხალხს სურს მეგობრული ურთიერთობა იქონიოს შეერთებულ შტატებთან თანასწორობისა და მშვიდობიანი შეჯიბრების საფუძველზე, მთელი დარბაზი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

გამოსვლის შემდეგ ა. ი. მიქოიანმა უპასუხა კითხვებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის შესახებ.

ლოს-ანჯელოსი, 12 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ). გუშინ ა. ი. მიქოიანი ლოს-ანჯელოსში ჩამოვიდა. მას აეროდრომზე ელოდა პრესის, რადიოს და ტელევიზიის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი. მაგრამ ნისლის გამო თვითმფრინავი სხვა აეროდრომზე დაეშვა და პრეს-კონფერენცია უფრო გვიან გაიმართა სასტუმრო „ამბასადორში“, სადაც გაჩერდნენ ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირნი.

ა. ი. მიქოიანმა პრესის წარმომადგენელთა მეშვეობით სალამი გადასცა და ყოველი სიკეთე უსურვა ლოს-ანჯელესის მოსახლეობას საბჭოთა ხალხის სახელით. შემდეგ მან უპასუხა ბევრ კითხვაზე. კითხვაზე, რა გაინტერესებდათ როცა ლოს-ანჯელესში პირველად ჩამოხვედით 1936 წელსო, ა. ი. მიქოიანმა თქვა, მაშინ კვების მრეწველობის მინისტრი ვიყავი და სამხრეთ კალიფორნიაში განსაკუთრებით მაინტერესებდა კვების პროდუქტების გადამუშავება, და, კერძოდ, ხილის წვენის დამზადება და კონსერვის წარმოება.

უპასუხა რა მეორე კითხვაზე, ა. ი. მიქოიანმა აღნიშნა განსაკუთრებით გულთბილი მიღება, რომელიც მას მოუწყეს სამეცნიერო წრეებისა და პრესის წარმომადგენლებმა სან-ფრანცისკოში.

ერთმა კორესპონდენტმა ჰკითხა, თუ აპირებს საბჭოთა კავშირი სხვა ქვეყნებს გაუზიაროს საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვების შედეგად მიღებული მეცნიერული მონაცემებიო. ამაზე ა. ი. მიქოიანმა უპასუხა, კოსმოსური რაკეტის გაშვება საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის ნაწილია და საბჭოთა მეცნიერები, რომელნიც ამ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ, უზიარებენ თავიანთი კვლევითი მუშაობის შედეგებს სხვა ქვეყნების მეცნიერებს.

საღამოს ა. ი. მიქოიანი იყო სადილზე, რომელიც მის პატივსაცემად გამართა კინემატოგრაფიის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა ერიკ ჯონსტონმა.

ლ. ველიჩანსკი,
ვ. პარამონოვი.

ა. ი. მიქოიანის მომავალი შეხვედრა დ. ეიზენჰაუერთან

ვაშინგტონი, 12 იანვარი. (საკდესი). თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებზე ჰეგერტიმ გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მიქოიანს მიიღებს თეთრ სახლში 17 იანვარს დილის 9 საათზე (ადგილობრივი დროით). ჰეგერტიმ განაცხადა აგრეთვე, რომ ა. ი. მიქოიანის საუბარს პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან დაესწრება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი.

„კეთილი ნების მისია“

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ ა. ი. მიქოიანის მოგზაურობის შესახებ

ნიუ-იორკი, 12 იანვარი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა ამხანაგ ა. ი. მიქოიანის მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სტატიაში სათაურით „საბჭოთა სტუმარმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა აქ“ წერს: „ანასტას ი. მიქოიანი კეთილი ნების მისიით მოვიდა წყნარი ოკეანის სანაპიროზე. ყოველ ქალაქში, რომელსაც კი ეწვია საბჭოთა პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა თავისი გულახდილი ნათქვამით, განსაცვიფრებელი გონებამახვილობითა და მუდმივი მხიარული ხასიათით..

იგი მშვიდობას ქადაგებს ყოველ შემთხვევასთან დაკავშირებით, ყოველ ქალაქში და ყოველი აუდიტორიის წინაშე. სიტყვები, რომლებსაც მიქოიანი წარმოთქვამს, გასაგებია ყოველი ამერიკელისათვის. იგი ამბობს: მოდით, ვიკამათოთ, გავმართოთ დისკუსია, შევეჯიბროთ ერთმანეთს, მაგრამ ნუ ვიომებთ.

იგი აცხადებს, რომ მსოფლიო ერთიანია და რომ რუსებმა და ამერიკელებმა ერთად უნდა იცხოვრონ ამ მსოფლიოში, ყოველ შემთხვევაში იმდენად მშვიდობიანად, როგორც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ დეტროიტის გარეუბნებში „ჯენერალ მოტორსისა“ და „ფორდის“ კომპანიები...

ამერიკელთა აუდიტორია, რომელიც შედგება გაელენიან ბიზნესმენთაგან, მრეწველობისა და ბანკების ხელმძღვანელთაგან, დადებითად ეხმპურება ამას.

„ბ-ნმა მიქოიანმა, — განაგრძობს „ნიუ-იორკ ტაიმსი“,—სევრი რამ ნახა შეერთებულ შტატებში და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ბევრ თვალსაჩინო ამერიკელზე...“

უცხოელ კორესპონდენტთა დიდი ჯგუფი უაღრესად დეტალურად აშუქებს მიქოიანის მოგზაურობას.

მიქოიანის მიერ წარმოთქმული სიტყვები სრულიადაც არ ყოფილა კარგი ურთიერთობის შესახებ გამოთქმული გაცვეთილი ჭეშმარიტება. იგი აყალიბებს ერთგვარ თანამიმდევრულ პოზიციას ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. იგი ამბობს: მოდით, შეეწყვიტოთ კამათი წარსულზე და მთელი ღონისძიებანი იმას მოვახმაროთ, თუ როგორ დავაღწიოთ თავი ახლანდელ სიძნელეებს...

მოკლედ

⊙ **ჰელსინკი,** მას შემდეგ, რაც პარლამენტის თავმჯდომარემ ვ. სუკსელაინენმა ვერ შეძლო მთავრობის შექმნა, რომელიც პარლამენტის უმრავლესობას დაიმყარებდა, ფინეთის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა დღეს დაავალა ვ. სუკსელაინენს სცადოს პარლამენტის უმცირესობის მთავრობის შექმნა.

⊙ **ლონდონი,** გუშინ აქ გაიმართა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა პარტიის პოლიტიკა პარლამენტის არჩევნების წინ.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ბერტ რამელსონმა, რომელმაც ანალიზი გაუკეთა ინგლისისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობას.

⊙ **ნიუ-იორკი,** გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა სტატია, მიძღვნილი ორმხრივ სამხედრო შეთანხმებათა დადების შესახებ მოლაპარაკებისადმი, რაც ამჟამად მიმდინარეობს შეერთებულ შტატებსა და ბაღდადის პაქტის მონაწილე ქვეყნებს შორის. სტატიაში აღნიშნულია, კერძოდ, რომ გადაწყვეტილება ასეთ შეთანხმებათა დადების შესახებ მიიღეს შეერთებულმა შტატებმა შარშან ზაფხულში.

დიდი ყინულმჭრელი საბჭოთა კავშირისათვის

ჰელსინკი, 10 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ კონცერნ „ვიორტსილის“ ნავსაშენ „ჰიეტალაჰტიში“ წყალში ჩაუშვეს 13 ათასი ტონა წყალწყვის დიზელ-ელექტროყინულმჭრელი „მოსკოვი“, რომელიც შეუკვეთა მას საბჭოთა კავშირმა სავაჭრო შეთანხმების შესაბამისად. დიზელის ძრავების სიმძლავრე 22 ათასი ცხენის ძალაა. ეს არის უდიდესი ყინულმჭრელი, რომელიც ოდესმე აუშენებიათ ფინეთში. შემდეგ კვირაში ნავსაშენში დაიწყება მეორე ასეთივე ყინულმჭრელის მშენებლობა საბჭოთა კავშირისათვის.

ხვალ, 15 იანვარს, დაიწყება მოსახლეობის საკავშირო აღწერა. ამ დიდი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საქმის წარმატებით განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული მოსახლეობის აქტივობაზე.

მარტო თბილისში 2.000-მდე აღმწერი იმუშავებს, მაგრამ მათ გაუჭირდებათ ამ პასუხსაგები დავალების შესრულება, თუ მოსახლეობის ერთსულოვანი მხარდაჭერა არ იქნება.

11 იანვრიდან აღმწერებმა დაიწყეს ჩამოვლა თავიანთი უბნის შემადგენლობაში შემავალი ყველა სახლთმფლობელობისა და ნაგებობისა, რომლის დროსაც მოქალაქეებს შეუთანხმდნენ, თუ როდის, დღის რომელ საათებში ამჯობინებენ ისინი საარწერო ფურცლის შევსებას. სახაუროველია, რომ მოქალაქეებმა დაიცვან წინასწარი შემოვლის დროს დათქმული ვადები. წინააღმდეგ შემთხვევაში აღმწერს ერთსა და იმავე ოჯახში რამდენჯერმე მოუხდება მისვლა, რაც შეაფერხებს აღმწერთა მუშაობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საარწერო ფურცლის მე-2 და მე-3 კითხვებზე პასუხის სწორად გაცემას (დროებით არმყოფისა და დროებით მცხოვრების შესახებ). ყოველ ოჯახში ფაქტიურად მყოფი და არმყოფი წევრების ერთდროული აღრიცხვა ხელს შეუწყობს მოსახლეობის უფრო ზუსტად გამოთვლას.

თუ მოქალაქე მოსახლეობის აღწერის პერიოდში იცვლის თავის ადგილსამყოფელს, ის ვალდებულია მიიღოს ცნობა . აღმწერისაგან იმის შესახებ, რომ უკვე გაიარა მოსახლეობის აღწერა და ეს ცნობა იქონიოს ხელზე აღწერის დამთავრებამდე. ამით თავიდან იქნება აცილებული საკონტროლო ბლანკების ზედმეტად შევსება.

თვითეული მოქალაქის ვალია არა მარტო სწორი და სრული პასუხი გასცეს საარწერო ფურცლის კითხვებზე, არამედ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი აღმწერებს და ინსტრუქტორ-კონტროლიორებს აღწერის წარმატებით ჩატარებაში.

მ. ქაჯაია,
თბილისის სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ხვალ იწყება მოსახლეობის საკავშირო აღწერა

სურათზე: ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მოსახლეობის მე-2 საარწერო განყოფილების გამგე ვ. ბურჭულაძე ესაუბრება ინსტრუქტორ-კონტროლიორებს აღწერის შესახებ. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

* * *

საარწერო კადრებმა უკვე მიიღეს საჭირო ინსტრუქტაჟი და კარგი მომზადება. ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან ქობულეთის, მუხაესტატეს, ჩაქვის საარწერო უბნები, ინსტრუქტორ-კონტროლიორები მ. კვაჭაძე, თ. გოგიჩაიშვილი, ა. მეგრელიძე, შ. ვასაძე და სხვ.

რაიონში 580 აგიტატორი ახსნა-განმარტებიის მუშაობას ეწევა მოსახლეობის აღწერის საკითხებზე.

ე. მექვაბიშვილი,
პარტიის ქობულეთის რაიკომის ინსტრუქტორი.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მეორე საარწერო განყოფილებაში, რომელიც მოთავსებულია სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, 9 საინსტრუქტორო უბანია. ინსტრუქტორები ნ. მეგენეშვილი, რ. კაკულია, მ. ზუკაკიშვილი, შ. ლებანიძე, მ. კონიაშვილი და სხვები ხალისით შეუდგნენ მუშაობას. ამ ცოტა ხნის წინათ ინსტრუქტორებისათვის საინტერესო საუბრები მოაწყეს პროფესორებმა ნ. ქოიავამ და ლ. კარბელაშვილმა.

პ. ლემონჯავა,
აღწერის ინსტრუქტორი.

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიუროომ და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დროულად განიხილეს მოსახლეობის საკავშირო აღწერისათვის მზადების საკითხი.

ამ მხრივ ფოთში სერიოზული მუშაობაა გაწეული. ამ პასუხსაგები საქმის ორგანიზაციისათვის შერჩეული არიან გამოცდილი მუშაკები, შედგენილია რუკები, დადგენილია უბნებისა და კვარტალების საზღვრები.

გაზეთი „მგზნებარე კოლხიდელი“.

XXVI საჭადრაკო ჩემპიონატი

12 იანვარს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოეწყო საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის პირველ ორ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება, ამასთანავე გათამაშდა მ. ტალ-მ. ტაიმანოვისა და პ. კერესლ. პოლუგაევსკის გამოტოვებული პარტიები.

ორ გადადებულ პარტიაში მოწინააღმდეგენი ბრძოლის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ: ესენი იყვნენ ტ. პეტროსიან-რ. ხოლმოვი და ა. ლუტიკოვი. იუხტმანი.

ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ი. აივერპახ-ა. ნიკიტინის, რ. ხოლმოვ-რ. ნეიშტადინოვისა და ა. ნიკიტინ-ე. გუფელიის პარტიებში.

გროსმაისტერმა ბ. სპასკიმ წარმატებით ჩაატარა ბრძოლის დასკვნითი ნაწილი ე. გუფელიდთან გადადებულ პარტიაში და გაიმარჯვა.

დიდი ინტერესი გამოიწვია გროსმაისტერების მ. ტალისა და მ. ტაიმანოვის შეხვედრამ. სსრ კავშირის ჩემპიონმა მოწინააღმდეგეს გაუსწორა ფიგურათა განვითარებაში, მაგრამ მ. ტაიმანოვმა მოახერხა ფიგურების გაცვლა და შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

გროსმაისტერი პ. კერესი ორი დღის იძულებითი შესვენების შემდეგ ჩაება ბრძოლაში. მის წინააღმდეგ თამაშობდა ლ. პოლუგაევსკი. მწვავე ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო.

* * *

გუშინ შედგა XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის მესამე ტური.

ეს ტური თავისებური მატჩი იყო გროსმაისტერებსა და ოსტატებს შორის. ყველაზე ადრე დამთავრდა ე. ვასიუკოვისა და ბ. სპასკის პარტია. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. მაღალოსტატობით ჩაატარა ბრძოლა სსრ კავშირის ჩემპიონმა მ. ტალმა ლ. პოლუგაევსკის წინააღმდეგ და გაიმარჯვა. პეტროსიანმა მოიგერია ი. იუხტმანის გაუმართლებელი იერიშები, მაგრამ მ. ტაიმანოვმა მოახერხა ფიგურების გაცვლა და შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

გროსმაისტერი პ. კერესი ორი დღის იძულებითი შესვენების შემდეგ ჩაება ბრძოლაში. მის წინააღმდეგ თამაშობდა ლ. პოლუგაევსკი. მწვავე ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო.

* * *

ბ. ალიკაევი

**ბ. ბ. ბ.